მიწის აღნაგობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, **შპს "კომფორტი 50"** წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჭანკვეტაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **"მესაკუთრე"** და მეორეს მხრივ, **შპს "გაზკომფორტი"**, შემდგომში წოდებული როგორც **"მეაღნაგე"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი წიკლაურის სახით

მესაკუთრე და **მეაღნაგე** ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც **„მხარე"**, ხოლო ერთად როგორც **„მხარეები"**,

მხარეები მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დებენ წინამდებარე აღნაგობის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების თანახმად, მესაკუთრე აღნაგობის უფლებით ვადიან სარგებლობაში გადასცემს მეაღნაგეს, ხოლო მეაღნაგე იღებს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთის ნაწილს, კერძოდ 1500 (ათას ხუთასი) კვ/მ-ს, აღნიშნულ ნაკვეთზე საკუთარი ხარჯით მიწასთან მყარად დაკავშირებული ნაგებობის (ნაგებობების) აღმართვის უფლებით; მეაღნაგე უფლებამოსილია აღნაგობით მიღებულ მიწის ნაკვეთზე დააპროექტოს და ააშენოს გაზგასამართი სადგურისა და სამრეცხაოების კომპლექსი დამხმარე ინფრასტრუქტურით (გაზის დანადგარების მონტაჟი და სხვა ტექნიკური საჭიროებები);

1.2. მიწის ნაკვეთის მახასიათებლებია: საკადასტრო კოდით 01.10.13.016.063; სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, 01; სექტორი – საბურთალო, 10; კვარტალი 13; ნაკვეთი 016/063; მისამართი: თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ (შემდგომში "აღნაგობის საგანი"); აღნაგობის საგნის დეტალური მახასიათებლები დანართი №1-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას (დანართი №1 – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული აღნაგობის საგანი წარმოადგენს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონებას;

2. ხელშეკრულების მიზანი

2.1. წინმადებარე ხელშეკრულებით მეაღნაგეს ქონება გადაეცემა სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც იგულისხმება აღნაგობის საგნის გამოყენება გაზგასამართი სადგურის დანიშნულებით.

3. აღმართული შენობისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე

3.1. ნაგებობა, რომელიც აღიმართება აღნაგობის უფლების საფუძველზე, მიიჩნევა აღნაგობის უფლების არსებით ნაწილად, რის შედეგადაც შენობის განადგურების შემთხვევაში არ წყდება აღნაგობის უფლება.

3.2. მიწის ნაკვეთის მფლობელია - მესაკუთრე,

3.3. მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობის მესაკუთრეა – მეაღნაგე.

4. გარანტიები და უფლებამოსილების დადასტურება

4.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

4.1.1. მესაკუთრე წარმოადგენს აღნაგობის საგნის კანონიერ და იურიდიულად რეგისტრირებულ მესაკუთრეს და არ არსებობს სხვა რომელიმე თანამესაკუთრე; და რომ არ არსებობს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში არც იარსებებს სხვა სამართლებრივი ურთიერთობა აღნაგობის საგანზე (იგულისხმება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების ნაწილი 1500 კვ/მ-ის ფართობით) გარდა წარმოშობილისა წინამდებარე ხელშეკრულებიდან;
4.1.2. მეაღნაგე აცხადებს, რომ მისი მიზანია სააღნაგო ქონების გამოყენება საქმიანობისათვის და რომ სააღნაგო ქონება ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის;
4.1.3. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით;
4.1.4. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა შესაბამისი წესით მხარეების მიერ და წარმოადგენს მხარეებისათვის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს;

5. აღნაგობის საზღაური და ანგარიშსწორება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად აღნაგობის საგნით სარგებლობის ყოველთვიური ქირა შეადგენს 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
5.2 ყოველთვიური სააღნაგო თანხის გადახდა მეაღნაგეს მიერ იწარმოებს ყოველი საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით ქართულ ლარებში მესაკუთრის საანგარიშსწორებო ანგარიშზე, წინასწარი ინვოისის, შეტყობინების ან მოთხოვნის და ყოველგვარი დაქვითვების, ჩათვლებისა და შემხვედრი პრეტენზიების გარეშე, თუკი სხვაგვარად არ იქნა დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პუნქტებით;
5.3 ყოველთვიური გადასახადი სააღნაგო ქონებისათვის არ მოიცავს მუნიციპალური წყაროებიდან მიღებული კომუნალური მომსახურების გადასახადებს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მესაკუთრის უფლება-მოვალეობები:
6.1.1. მესაკუთრე ვალდებულია გადასცეს მეაღნაგეს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში აღნაგობის საგანი;
6.1.2. მესაკუთრე ვალდებულია სახელშეკრულებო მოქმედების მთელ პერიოდში უზრუნველყოს აღნაგობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლო მდგომარეობა;
6.1.3 მესაკუთრე ვალდებულია არ ჩაერიოს მეაღნაგის საქმიანობაში და უზრუნველყოს მეაღნაგის მიერ სააღნაგო ქონებით დაუბრკოლებლად სარგებლობა;
6.1.4. მესაკუთრე ვალდებულია სააღნაგო ქონებასა და აგრეთვე მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ განახორციელოს მეაღნაგის მსგავსი საქმიანობის განხორციელება, რითაც ხელი შეეშლება სააღნაგო ქონების ფუნქციონირებას და რითაც მოსალოდნელია მისი კონკურენტების რაოდენობის ზრდა (ამ მუხლის მიზნებისათვის მსგავს საქმიანობაში იგულისხმება გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირება);
6.1.5. მესაკუთრე უფლებამოსილია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იმ ნაწილზე, რომელიც არ არის გადაცემული მეაღნაგისათვის (იგულისხმება მიწის ნაკვეთის დარჩენილი 1055 კვ/მ) განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა საკუთარი შეხედულებისამებრ, გარდა ისეთი საქმიანობისა, როგორიცაა მიწის ნაკვეთის გაზით გასამართი სადგურის დანიშნულებით გამოყენება;
6.1.6. მესაკუთრეს არ აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაასხვისოს სააღნაგო ქონება;
6.1.7 მესაკუთრე კისრულობს ვალდებულებას აღნაგობით გადაცემულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით არ დადოს ისეთი გარიგება, რამაც შეიძლება გააძნელოს

ან შეუძლებელი გახადოს მეაღნაგის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების შესრულება და/ან სარგებლობა; ამასთან მესაკუთრეს წინამდებარე ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში უფლება არა აქვს ჩაერიოს მეაღნაგის საქმიანობაში და კისრულობს ვალდებულებას არ შეაფერხოს მის მიერ შენობა-ნაგებობით სარგებლობისათვის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების განხორციელება.

6.2 მეაღნაგის უფლება-მოვალეობები:

6.2.1. მეაღნაგე ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში აღნაგობის საგანი და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკუთარი სახსრებით შეინარჩუნოს ვარგის მდგომარეობაში, რაშიც იგულისხმება მისი გამართული ფუნქციონირება;

6.2.2. მეაღნაგე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია;

6.2.3. მეაღნაგე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა დადგენილი წესითა და პირობებით;

6.2.4. მეაღნაგე უფლებამოსილია მხოლოდ მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობით იჯარით გასცეს სააღნაგო ქონება სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე;

6.2.5. მეაღნაგე ვალდებულია სააღნაგო ქონებით სარგებლობის პერიოდში არ დააზიანოს იგი და ხელი არ შეუშალოს მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დარჩენილი ნაწილის შეუზღუდავად სარგებლობასა და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენებაში წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით;

6.2.6. საკუთარი მიზეზით აღნაგობის საგნის დაზიანების შემთხვევაში, მეაღნაგე ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აუნაზღაუროს მესაკუთრეს მიყენებული ზარალი და მოიყვანოს აღნაგობის საგანი ამგვარი ზიანის დადგომამდე არსებულ მდგომარეობაში;

6.2.7 მეაღნაგე ვალდებულია გაწიოს კანონმდებლობის შესაბამისად ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობის დაწყებისათვის სახელმწიფოსგან აუცილებელი ლიცენზიების და ნებართვების მოპოვებასთან; ამასთან მეაღნაგე ვალდებულია მშენებლობის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლა და საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობა-ნაგებობების რეგისტრაცია საჯარო-რეესტრში;

6.2.8 მეაღნაგე უფლებამოსილია არსებული ნორმების დაცვით დაამონტაჟოს მიწის ნაკვეთზე მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური და სხვა დანადგარები;

6.2.9 მეაღნაგე უფლებამოსილია ისარგებლოს აღნაგობით გადაცემული მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლებით.

6.2.10 აღნაგობის უფლების მქონე უფლებამოსილია აღნაგობის უფლების შეწყვეტისას განახორციელოს მის მიერ აგებული ნაგებობებისა და შენობების (გარდა მხარეთა შორის შეთანხმებული ერთი შენობისა, რომელსაც მეაღნაგე უსასყიდლოდ გადასცემს მესაკუთრეს) დაშლა და გატანა იმ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არ გადაუხდის მას შეთანხმებულ საფასურს (საბაზრო ღირებულების შესაბამისად);

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით გამოწვეული ზიანი;

7.2 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: ომი,

საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა, სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები და/ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მოვლენა/გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;

7.3 დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობასა და მოქმედების სავარაუდო ვადას.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან ("ძალაში შესვლის თარიღი") და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ძალაში შესვლის თარიღიდან 6 (ექვსი) კალენდარული წლის ვადით 2018 წლის 1 იანვრამდე;

8.2. მხარეთა მიერ დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მხარეები უფლებამოსილნი არიან ვადაზე ადრე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის 24 (ოცდა ოთხი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

8.3 აღნაგობის უფლება შეიძლება გაუქმდეს ვადამდე მეაღნაგისა და მესაკუთრის ერთობლივი შეთანხმებით წერილობით, ამასთან მესაკუთრე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მეაღნაგეს გადაუხადოს კომპენსაცია, რომლის ოდენობაც შეთანხმდება მხარეთა შორის აღნაგობის უფლების შეწყვეტის დროს.

9. კომპენსაცია აღნაგობის ვადის ამოწურვის ან სხვაგვარად შეწყვეტისას.

9.1 მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია, მეაღნაგეს გადაუხადოს კომპენსაცია აღმართული ნაგებობების სანაცვლოდ.

9.2. მესაკუთრე თავისუფლდება კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ იგი მეაღნაგეს აღნაგობის უფლების მოქმედების ვადას გაუგრძელებს შენობა-ნაგებობის არსებობის სავარაუდო ვადით.

9.3. იმ შემთხვევაში თუკი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან/და შეწყვეტის დროს მხარეები ვერ შეთანხმდებიან წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებაზე, მეაღნაგე უფლებამოსილია მოახდინოს მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის დაშლა-დემონტაჟი და გატანა, გარდა იმ ერთი შენობისა, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით მეაღნაგე უსასყიდლოდ გადასცემს მესაკუთრეს.

10. ქონების გადაცემისა და დაბრუნების წესი

10.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მესაკუთრე გადასცემს, ხოლო მეაღნაგე იღებს აღნაგობის საგანს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში; მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

10.2. ხელშეკრულების ვადის დასრულების შემთხვევაში, მხარეთა შორის დგება აღნაგობის საგნის მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე დასმული თარიღი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ნამდვილ თარიღს და საბოლოო ანგარიშსწორება გადახდა მოხდება აღნიშნული თარიღის საფუძველზე.

11. დავათა გადაწყვეტა

11.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

11.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერ დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განიხილება და გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

12.2.ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;

12.3. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა პირს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;

12.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე;

12.5. წინამდებარე ხელშეკრულება და დანართები შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„მესაკუთრე“

შპს “კომფორტი 50“

მის: თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგის მიმდებარე ტერიტორია;
საიდ/კოდი 211328124

სს “ბაზის ბანკი”
ბანკის კოდი 220101956
ა/ანგარიში № 24836128

დირექტორი

დავით ჭანკვეტაძე

“მეაღნაგე”

შპს "გაზკომფორტი"

მის: მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ;
საიდ/კოდი 205056990

სს “ბაზის ბანკი”
ბანკის კოდი 220101956
ა/ანგარიში № 24136527

დირექტორი

გიორგი წიკლაური

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120040942
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.01.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია წიკლაური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი წერეთლის 55
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 35-21-19
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27461677671812

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ორიათას თორმეტი წლის ჩვიდმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს, მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე საქართველო, ქ. თბილისი ა.კ. წერეთლის გამზ №55, მომმართეს მოქალაქეებმა

დავით ჭანკვეტაძემ, დაბადებულმა 08.09.1962 წელს თბილისში, მცხოვრებმა თბილისი, გამსახურდიას გამზ. I კვარტ. კორპ. 6ა, ბ. 24-ში, რომლის პირადობა დადგენილია თანახმად წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით №გ0140689, პირადი №01024016228, გაცემული 30.07.1996 წელს თბილისის საბურთალოს რ-ნის შს განყოფილების მიერ,

გიორგი წიკლაურმა, დაბადებულმა 24.09.1974 წელს თბილისში, მცხოვრებმა თბილისი, დიდმის მასივი, I კვარტ. კორპ. 1ა, ბ. 2-ში, რომლის პირადობა დადგენილია თანახმად წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით №ბ0918005, პირადი №01006004246, გაცემული 29.03.2006 წელს სრს დიდუბის სამსახურის მიერ,

მათ წარმოადგინეს წინამდებარე გარიგება (მიწის აღნაგობის ხელშეკრულება, ქ. თბილისი, 30.12.2011წ. 5 ფურცელი 5 გვერდად), ნათლად და მკაფიოდ განაცხადეს, რომ არიან ამ გარიგების მონაწილე მხარეები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის 1 პუნქტის ა ქვეპუნქტით და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება თითოეულ გვერდზე.

მე შევამოწმე მათი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლინების ნამდვილობაში, განვმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერებმა განაცხადეს, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას.

ხელმოწერა შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით. წინამდებარე ტექსტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე ტექსტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას-და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.

ამ სანოტარო აქტის დამოწმებისთვის გადახდილია სახელმწიფო თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ მუხ. 31, პ. 3-ით ერთ ეგზემპლარზე 20 ლ 00 თ. მუხ. 39, პ. 1-ით 2 ლ 00 თ. დამოწმდა სამ ეგზემპლარად. სულ 62 ლ 00 თ.

ნოტარიუსი

აკინძულია 6 ფურცელი
ПЕРЕПЛЕТ ЛИСТОВ
BOUND SHEET